

## მაია თევზაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### პრეცედენტული საკუთარი სახელების რიგი სემანტიკური თავისებურებები დისკურსში

სახელის პრეცედენტულობა დამყარებულია მის მიერ გარკვეული ცნების გამოხატვის ფაქტზე. ცნება, როგორც ცნობილია, გამოხატავს საგნის საერთო და არსებით ნიშან-თვისებებს, ხოლო საკუთარ სახელთა სპეციფიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი აზრობრივი, შინაარსობრივი მხარე არ შეესაბამება ცნებას მისი ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობით. ასე მაგალითად, ლინგვისტები, ადარებენ რა საკუთარ სახელთა სტრუქტურულ-ენობრივ მხარეს საზოგადო სახელთა ცნებით შინაარსს, თვლიან, რომ საკუთარ სახელთა სემანტიკა ბევრად უფრო ღარიბია მათში ცნებითი საწყისის გაურკვეველი მდგომარეობის გამო. ზოგი მათგანის აზრით საკუთარი სახელების შემთხვევაში ცნობილი სემანტიკური სამკუთხედი იქცევა სწორხაზობრივ გამოსახულებად : სიტყვა – საგანი (7).

მიუხედავად ცნებასთან საკმაოდ თავისებური კავშირისა, რიგი მკვლევარები მაინც დასაშვებად მიიჩნევენ საკუთარ სახელებში ენის დონეზე გარკვეული « ინფორმაციული ბირთვის » არსებობას. მაგალითად, არსებობს აზრი, რომ საკუთარი სახელი გადმოგვცემს გარკვეულ « შინაარსს » (3), « სემანტიკურ შინაარსს »(5).

თუკი საზოგადო სახელისთვის აუცილებლად ითვლება ცნების გამოხატვა და ფაკულტატურია კონკრეტული საგნის სახელდება, საკუთარი სახელისთვის, პირიქით, აუცილებელია კონკრეტული საგნის დასახელება, ხოლო ფაკულტატურია ცნების გამოხატვა.

საკუთარი და საზოგადო სახელების სიგნიფიკატური მნიშვნელობის სპეციფიკა მდგომარეობს შემდეგში : საზოგადო სახელის მიერ გამოხატული ცნება ფორმირდება ენაში, ხოლო საკუთარი სახელის მიერ გამოხატული ცნება – მეტყველებაში.

ჩნდება რა რაიმე საგნის ან პიროვნების აღსანიშნად, მის გამოსაყოფად სხვა მისდაგვარების რიგიდან, საკუთარი სახელები თავიანთი არსებობის პროცესში ერთგვარად ისრუტავენ საგნის ან პიროვნების შესახებ შინაარსობრივი ცოდნის ელემენტებს, ვინაიდან მათ ცნებით ბირთვს ქმნის მათი მატარებლის შესახებ არსებული ინფორმაცია (ენციკლოპედიური ცოდნა დენოტატის შესახებ).

სამეტყველო აქტში რეალიზდება სწორედ მისი “შემდგომი” მნიშვნელობა, ანუ შინაარსობრივი, ენციკლოპედიური მნიშვნელობა. სავარაუდოდ, უფრო სწორი იქნებოდა გველაპარაკა საკუთარ სახელთა უნარზე, რომ დაუკავშირდეს ცნებას, რომელიც რეალიზდება მეტყველებაში, გარკვეულ კონტექსტში.

საკუთარ სახელთა გარკვეული რაოდენობა დროთა განმავლობაში ხდება პრეცედენტული. პრეცედენტულებს ჩვენ ვუწოდებთ ყველა სოციალიზირებული ენის მატარებლისთვის კოგნიტური და ემოციური თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინდივიდუალურ სახელებს და კონკრეტულ ლინგვოკულტურულ სიტუაციაში თუ მთელს გლობალურ სივრცეში მატერიალური თუ სულიერი კულტურის ფართოდ ცნობილი ისტორიული თუ გამოვლილი პიროვნებების და მოვლენების სახელებს.

პრეცედენტულებად ითვლება, როგორც წესი, ფართოდ ცნობილი საკუთარი სახელები და არა მხოლოდ ისინი, არამედ კონკრეტული პიროვნების თუ მოვლენის აღსანიშნად, ასევე გარკვეული კულტურული ნიშნის ფუნქციით ან აღნიშნული პიროვნებების ან მოვლენების კონკრეტული ნიშან-თვისების სიმბოლოს ფუნქციით ტექსტში გამოყენებული სახელები.

პრეცედენტული სახელები, როგორც ენობრივი ერთეულები, ასრულებენ პრეცედენტული კონცეპტების – მენტალურ-ვერბალური ერთეულების ფუნქციას, რომლებიც გამოიყენება სინამდვილის წარმოდგენის, კონცეპტუალიზაციის, კატეგორიზაციის და შეფასებისთვის.

ყოველი პრეცედენტული სახელის მიღმა დგას ასოციაციების საკუთარი სისტემა, რომელთაც იგი იწვევს ენის მატარებლის ცნობიერებაში.

საკუთარ სახელებს შორის არის ისეთები, რომლებიც გამოხატავენ საზოგადოდ ცნობილ საგნებს ან პიროვნებებს – ინდივიდუალური საკუთარი სახელები ან საკუთარი სახელები ინდივიდუალური კონოტაციებით (ნიუტონი, სოკრატე, დონ-ჟუანი, . . .) და საკუთარი სახელები ინდივიდუალური კონოტაციების გარეშე (მარინა, ალექსანდრე, . . .). ეს უკანასკნელები ჩვეულებრივ არიან ერთადერთი გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციაში და ამიტომ ცნობილი არიან აღნიშნული სამეტყველო აქტის ყველა მონაწილისთვის, ხოლო ინდივიდუალური საკუთარი სახელები ცნობილი არიან ყოველთვის ყველასთვის მოცემულ საზოგადოებაში. (1)

ინდივიდუალური საკუთარი სახელების მიღმა ყოველთვის დგას გარკვეული პიროვნება, სახელზე გადადის მისი მატარებლის ნიშან-თვისებები, რისი წყალობითაც იგი შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც პრეცედენტული ფენომენი. როდესაც ადამიანებს ეუბნებიან « ნამდვილი სოკრატე ხარ », წინასწარი ექსპლიკაციები არ არის საჭირო, სახელი სოკრატე უკვე არის შესაბამისი წარმოდგენების მთელი კომპლექსის გასაღები.

ასევე გვხვდება “შიდა პრეცედენტულობის” (ავტოპრეცედენტულობის) შემთხვევები – საკუთარი სახელები ხდებიან პრეცედენტული იმ ტექსტის ფარგლებში, რომლებშიც ისინი არიან ფორმირებული, რის ერთერთ თვალნათელ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფილიპ ერიას ცნობილ ნაწარმოებში საკუთარი სახელის სემანტიკის განვითარების ნიმუში.

ფილიპ ერიას ნაწარმოებში “ბუსარდელის ოჯახი” პირველივე სიტყვებიდან იწყება გვარის – ბუსარდელი – სემანტიკური შევსება. დასაწყისშივე იგრძნობა ჯერ მხოლოდ მნიშვნელოვნება ოჯახის საფუძვლის ჩამყრელის, ფლორან ბუსარდელის, ჩანაფიქრისა. მოცემული დიდებული საოჯახო მაგზოლეუმის აღწერაში, რომელიც ჯერ კიდევ ცარიელია, მაგრამ უკვე მოწმობს ბუსარდელის ოჯახის მომავალ ძალასა და დიდებას, ოჯახისა, რომლის ისტორიასაც წარმოადგენს მოცემული ნაწარმოები, ეს ჩანს ღიდიას დაბნეულობაში ამ დიდებულების დანახვისას და მისი გონებაში შედარებისას თავისი მშობლების უბრალო სასაფლაოსთან ტურენში. გვარის სწორედ ასეთ აღქმას უწყობს ხელს მისი პირველი ხსენებისთანავე დანარჩენი ტექსტისგან განსხვავებული შრიფტის ხმარებაც.

შემდგომში სემანტიკური შევსების წყალობით გვარი ბუსარდელი ხდება სულ უფრო და უფრო მდიდარი, თავის თავში მოიცავს დიდებულებას, ძლიერებას. შემთხვევითი არ არის, რომ გრაფი კლაპიე, ათხოვებდა რა თავის ქალიშვილს ვიქტორენ ბუსარდელზე, ზეიმობდა:

Chez le comte Clapier l'orgueil contenté dominait : une alliance avec **un Boussardel** était flatteuse (8, 293)

ამ შემთხვევაში გვარის განუსაზღვრელი არტიკლით ხმარებას ექსპრესიული ფუნქცია აკისრია. ბუსარდელის ოჯახის გავლენისა და ძლიერების ზრდა თანმიმდევრულად არის ნაჩვენები ნაწარმოებში :

L'agent de change, lui, à ce moment songeait que son père s'était marié dans la modeste église de Saint-Louis d'Antin, rue Sainte-Croix. De là, les mariages Boussardel avaient pris leur essor : Julie à Saint-Roch, lui-même et son frère à Saint-Philippe du Roule, Florence à la Madeleine et maintenant Victorin à Saint-Honoré d'Eylau. Quelle distance parcourue ! (8, 293))

სემანტიკური შევსებით აიხსნება ის ფაქტი, რომ გვარი ტექსტში უკვე შეიძლება გამოყენებული იქნეს განსაზღვრების ფუნქციით :

C'était du reste un usage très Boussardel que de ne point se laisser aller devant les étrangers à la moindre pique familiale, à la contradiction la plus anodine. (8, 296)

მოცემულ შემთხვევაში გვარის სემანტიკური შევსების გზაზე ხდება ვალენტობის თანდათანობით გაფართოება, რასაც მივყავართ ისეთ სინტაგმატიკურ ურთიერთობებამდე, რომლებიც ენობრივ სისტემაში მოცემული ერთეულისთვის არ არის დამახასიათებელი.

მოცემულ მაგალითში გვარის სემანტიკური შევსება განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ის იხმარება უკვე ინტენსიფიკატორთან « très » ერთად. სხვა შემთხვევაში იმავე მიზეზების გამო შესაძლებელი გახდა სიტყვათშეთანხმება « une vraie Boussardel ».

ამგვარად, ენობრივი ერთეულის ფუნქციონირების პროცესში კონტექსტუალური სტილისტური მნიშვნელობების წარმოქმნა განისაზღვრება სისტემური სემანტიკური დამოკიდებულების დარღვევით, რაც გამოიხატება სწორედ სემანტიკური ვალენტობის გაფართოებაში:

- Vous savez mieux que moi sans doute toute la signification d'une telle imprudence...Mais j'espère que nul dans votre famille ne l'a personnellement éprouvé.
- -Ah ! certes non ! – dit Edgar, en qui à ce moment reparut du Boussardel – Quand vous connaîtrez mieux mon père et mon oncle, vous comprendrez pourquoi les affaires de mons Mirès n'étaient pas faites pour eux. Nous ne nous laissons pas séduire à des promesses de charlatan ! (8 ,339)

მოცემულ შემთხვევაში ვლინდება თვისება, რომელიც ახასიათებს ბუსარდელის გვარის თითქმის ყველა წარმომადგენელს – ფხიანობა, გერგილიანობა, რაც განაპირობებს წარმატებებს ყოველ წამოწყებაში, ყოველ საქმიანობაში. თვით პირის ნაცვალსახელის nous ხმარება იძენს დახასიათების ფუნქციას, ვინაიდან იგი არა მარტო მიუთითებს გარკვეულ ადამიანებზე, არამედ აგრეთვე ხაზს უსვამს ედგარის ადვილად შესამჩნევ სიამაყეს იმ ფაქტით, რომ იგი არის ამ ოჯახის წარმომადგენელი, ვლინდება მის მიერ იმპლიციტური შეფასება თავისი გვარის მამაკაცთა თვისებებისა, უნარიანობისა, იგი არა მარტო აწვდის ინფორმაციას მოსაუბრეს, არამედ ამ ინფორმაციას ატარებს თავის შეფასებით პრიზმაში და მისი შეფასება ამ შემთხვევაში არის როგორც რაციონალური, ასევე ემოციური. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგი ნაწყვეტის განხილვისას:

Tous les petits Boussardel étaient de bons élèves...une dignité précoce, le sens de ce qu'ils se devaient, la conscience du nom qu'ils portaient, gardaient ces enfants de la turbulence et de la dissipation naturelles aux jeunes garçons et aux fillettes de leur âge. (8, 315)

Dès la grossesse d'Amélie, ses rapports avec les Boussardel avaient changés. Mère, ils l'accueillirent plus intimement ; elle devenait une vraie Boussardel depuis qu'elle enfantait (8, 366)

მოცემულ (მეორე) შემთხვევაში რომანის გმირი ქალი იქცევა ნამდვილ ბუსარდელად არა მარტო იმით, რომ იღებს ამ გვარის წარმომადგენელთა ნიშან-თვისებებს, არამედ იმითაც, რომ ამ ოჯახის წარმომადგენლები შინაგანად უკვე იღებენ მას, აღიარებენ ოჯახის წევრად.

შემდგომ ამისა ხდება ამელიას სახის განვითარება, მისი სემანტიკის შევსება იმ ნიშან-თვისებებით, რომლებიც დამახასიათებელია ბუსარდელთა გვარის წარმომადგენლებისთვის. ვლინდება მისი პრესტიჟის, მისი გავლენის ზრდა თავისი ოჯახის წევრებზე, იმ ოჯახისა, რომლის ინტერესები უკვე წარმოადგენენ მის სისხლხორცულ ინტერესებს.

En vérité elle n'avait pas épousé Victorin, et finalement il comptait assez peu dans cette affaire : elle avait épousé les Boussardel ( 8, 484).

ამრიგად, ნაწარმოებში სულ პირველი სიტყვებიდან იწყება მოცემული გვარის სემანტიკური შევსება, სიუჟეტის განვითარების მიხედვით მის წარმომადგენლებს ემატებათ სულ ახალ-ახალი ნიშან-თვისებები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბუსარდელის ოჯახის სახე იმდენად ტიპური, დამახასიათებელი გამხდარა საფრანგეთის გარკვეული ფენებისთვის მოცემულ ეპოქაში, რომ მრავალი წლის შემდეგ ფრანსუაზა საგანი სრულიად ნორმალურად თელის გამოიყენოს იგი პრეცედენტული სახელის ფუნქციით აღწერისთვის, ე. ი. დახასიათების ფუნქციით:

Il y a un couloir qui fait au moins vingt-deux mètres dans l'appartement de mes parents. Un appartement bizarre, genre « Famille Boussardel » où les chambres sont assez mal faites et les réceptions trop grandes (9, 16).

ხშირად არის შემთხვევები, როდესაც პრეცედენტული სახელები გამოიყენებიან თავიანთი საზოგადო მნიშვნელობით სხვა ლინგვოკულტურული საზოგადოებების მიერ დახასიათების ფუნქციით, ანუ როგორც პრეცედენტული სახელი-დახასიათებები, მაგალითად : დონ ჟუანი, მაუგლი, დონ კისოტი და ა. შ.

თავიანთი შინაარსით პრეცედენტული სახელები წარმოადგენენ კულტურულ-ისტორიულ მესხიერებას, გამაგრებულს იმ ადამიანების, ობიექტების სახელებში, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან მომენტებთან.

ყველა ტიპის პრეცედენტული სახელისთვის საერთო ნიშანს წარმოადგენს მისი უნარი, რომ შეასრულოს კულტურული ნიშნის ფუნქცია, ე. ი. მოახდინონ ენციკლოპედიური ინფორმაციის აქტუალიზაცია ფართოდ ცნობილი ისტორიული თუ გამოგონილი მოვლენების, პერსონაჟების, ქვეყნის მატერიალური თუ სულიერი კულტურის ობიექტების შესახებ.

### ლიტერატურა

1. Василевская А. М. Синтаксические возможности имени собственного // Лингвистика и поэтика . М., 1979. С. 142 Ермолович Д. И. Имена собственные на стыке языков и культур. М., “Р. Валент “, 2001, 133 с.
2. Ермолович Д. И. Имена собственные на стыке языков и культур. М., “Р. Валент “, 2001, 133 с.
3. Журиная М. А. О выражении значения неотторжимости в русском языке // Семантическое и формальное варьирование. М., 1979. С. 72
4. Караулов Ю. Н. Русский язык и языковая личность. М., 2003, 261 с.
5. Курилович Е. Положение имени собственного в языке // Очерки по лингвистике. М., 1962. с. 251-266
6. Прецедентное имя и прецедентное высказывание как символы прецедентных феноменов // И. В. Захаренко, В. В. Красных, Д. Б. Гудков и др // Язык, сознание, коммуникация. Вып.1. М., Филология, 1997. С. 82-103
7. Суперанская а. В. Структура имени собственного. М., 1969. С. 124-125.
8. Hériat Philippe, Famille Boussardel, Paris, 1944
9. Sagan Françoise, Réponses, Paris, 1974

### რეზიუმე

სახელის პრეცედენტულობა დამყარებულია მის მიერ გარკვეული ცნების გამოსატყვის ფაქტზე. ყოველი პრეცედენტული სახელის მიღმა დგას ასოციაციების საკუთარი სისტემა, რომელთაც იგი იწვევს ენის მატარებლის ცნობიერებაში. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც პრეცედენტული სახელები გამოიყენებიან მრავალ კულტურაში თავიანთი საზოგადო მნიშვნელობით დახასიათების ფუნქციით, ანუ როგორც პრეცედენტული სახელი-დახასიათებები. ასევე გვხვდება “შიდა პრეცედენტულობის” შემთხვევები – საკუთარი სახელები ხდებიან პრეცედენტული იმ ტექსტის ფარგლებში, რომლებშიც ისინი არიან ფორმირებული. ყველა ტიპის პრეცედენტული სახელისთვის საერთო ნიშანს წარმოადგენს მისი უნარი, რომ მოახდინოს ენციკლოპედიური ინფორმაციის აქტუალიზაცია ცნობილი ისტორიული თუ გამოგონილი მოვლენების, პერსონაჟების, მატერიალური თუ სულიერი კულტურის ობიექტების შესახებ.

Maya Tevzadze

### A number of semantic features of precedent proper names in discourse

#### Summary

The precedence of the name is based on the fact that it expresses a certain concept. Behind each precedent name is its own system of associations, which it evokes in the consciousness of a person. There are a number of cases when precedent names are used in many cultures with the function of characterizing their common meaning, i.e. as precedent name-descriptors. There are also cases of “internal precedence” – proper names become precedent within the text in which they are formed. The common feature of all types of precedent names is their ability for actualization of encyclopedic information about the famous historical or fictional events, characters, objects of material or spiritual culture.